საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 401 2018 წლის 29 ოქტომბერი ქ. თბილისი

საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების საჭიროებისათვის უძრავი ქონების შეძენის საკითხებზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

1. საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების საჭიროებისათვის უძრავი ქონების შეძენის საკითხების გადაწყვეტის მიზნით, შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;

ბ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ე) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი;

ვ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი;

ზ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

თ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი.

2. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, წარუდგინოს სამუშაო ჯგუფს წინადადებები უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. სამუშაო ჯგუფმა მისთვის წარდგენილი ჩამონათვალიდან შეარჩიოს შესაბამისი უძრავი ქონება და მისი შეძენის თაობაზე წინადადება განსახილველად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

4. შესაბამისი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას ხელშეკრულების შინაარსი შეთანხმებულ უნდა იქნეს სამუშაო ჯგუფის წევრ უწყებებთან.

5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების საჭიროებისათვის უძრავი ქონების შეძენის საკითხებზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 26 ნოემბრის №445 ბრძანება.

მამუკა ბახტაძე